

2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

1-ლი კლასი


ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია დათვლის, სურათის აღქმის, რიცხვების შედარების, მარტივი არითმეტიკისა და რიცხვთა მიმდევრობის თემატიკებზე.

● ვიზუალური აღქმა და დათვლა

- მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათზე მოცემული ფიგურებისა თუ საგნების ამოცნობა და საჭიროებისამებრ მათი მარჯვნიდან ან მარცხნიდან გადათვლა.

მაგალითი: რომელი ხილია სურათზე მარჯვნიდან მესამე?



A) ბანანი

B) საზამთრო

C) მარწყვი

● რიცხვების შედარება

- მოსწავლემ უნდა შეძლოს 20-მდე ნატურალური რიცხვების შედარება. მან უნდა ამოიცნოს ნაკლებობის, მეტობისა და ტოლობის სიმბოლოები ($>$, $<$, $=$), იმისთვის რომ შეარჩიოს სწორი პასუხი.

მაგალითი: ჩამოთვლილებიდან რომელი რიცხვია 6-ზე მეტი?

A) 5

B) 8

C) 2

● რიცხვების შეკრება და გამოკლება

- მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ნატურალურ რიცხვებზე მარტივი მოქმედებების ჩატარება.

მაგალითი: გამოთვალეთ: $5+2 =$

A) 7

B) 3

C) 6

● რიცხვთა მიმდევრობა

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვების მარტივ მიმდევრობებში რიცხვების ცვლილების ამოცნობა და ამაზე დაყრდნობით, ამ მიმდევრობის რომელიმე წევრის პოვნა:

მაგალითი: დააკვირდი მიმდევრობას და გამოიცანი რა რიცხვი უნდა ეწეროს გამოტოვებულ ადგილას: 6; 5; 4; __; 2; 1.

A) 3

B) 6

C) 0